

**განმარტებითი ბარათი**  
**„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 38-ე მუხლით.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრე ვერ უზრუნველყოფს ძეგლის მოვლა-პატრონობას და არ აძლევს ამის უფლებას სხვას, ან არ უვლის მას, ასევე, როდესაც ღვინდება, რომ მესაკუთრე (მფლობელი) განზრახ ან გაუფრთხილებლობით ახდენს ძეგლზე იმგვარ ზემოქმედებას, რის გამოც ძეგლს ემუქრება დაზიანების, განადგურების ან გატაცების საფრთხე, სამინისტრო ვალდებულია წერილობით გააფრთხილოს მესაკუთრე ან/და მფლობელი და დაუდგინოს მას ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის ვადა. თუ მესაკუთრე მითითებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს ძეგლის მოვლა-პატრონობას, ისეთი გადაუდებელი შემთხვევისას, როდესაც გადაწყვეტილების დაყოვნებამ შეიძლება ძეგლს შეუშინას აუცილებელი განადგურების საფრთხე, სამინისტრო შესაბამისი ორგანოების წინაშე აყენებს საკითხს საკუთრების უფლების შესაბამისი სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ, თუ სამინისტროსათვის წინასწარაა ცნობილი, რომ მესაკუთრე, მის მიმართ ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების შესრულებას, ან ვერ უზრუნველყოფს ძეგლის სარეაბილიტაციო ხარჯების ხარჯების ანაზღაურებას;

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ცვლილება იქნეს შეტანილი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

გავლენას არ ახდენს, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ ძეგლის ჩამორთმევის შემთხვევაში, ჩამორთმეული ძეგლი დაექვემდებარება პრივიტიზაციას, და მისი პრივატიზებიდან შემოსული თანხები კვლავ დაუბრუნდება სახელმწიფოს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, თუმცა იგი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ვრცელდება ძველის შესაკუთრებზე, რომელთაც ძველის იძულებითი ჩამორთმევის შემთხვევაში აუნაზღაურებთ ჩამორთმეული ქონების საფასური.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ ითვალისწინება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:  
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.